

## შეტყობინება მემკვსე

**სიღრმისეული მნიშვნელობა მსაჯულთა წიგნის  
და განდგომა ისრაელისა დმერთის თაყვანისცემაში**

ადგილები წერილიდან: მსაჯ. 1:1; 2:1; 17:1-5; 18:1, 30-31;  
2 ოქს. 2:2-3; 2 პეტ. 1:3-21; 2:1, 15

### I. ჩვენ უნდა ვიცოდეთ მსაჯულთა წიგნის სიღრმისეული მნიშვნელობა:

- ა. ის, რომ მსაჯ. 1:1-20-ში ისრაელი ეკითხებოდა იგჰოვას, აღწერს შესანიშნავ სურათს იმისას, თუ როგორ იყო დაიმედებული ისრაელი დმერთზე; ეს შესანიშნავი სურათი უფალთან ერთობისა, გვიჩვენებს დმერთის ორგანულ კავშირის თავის ხალხთან, და არის ერთობის გაგრძელება იესო ნავეს ძის წიგნში, როდესაც ისრაელის ხალხი პირველად შევიდა კეთილ მიწაზე, როგორც აღწერილია იესო ნავეს ძის წიგნის მე-6 თავში – რიცხ. 27:21; 1 მეფ. 22:10; 23:9-10; 2 მეფ. 2:1.
- ბ. თუ განვიხილავთ ძველ აღთქმას მთლიანობაში, სინაის მთასთან დმერთი დაქორწინდა ისრაელზე – გამ. 20:6, შენ. 2:
  1. თავისი წარმოდგენისა და სურვილის თანახმად, დმერთს უნდოდა, ყოფილიყო ისრაელისათვის ქმარი, და დმერთს უნდოდა, რომ ისრაელი ყოფილიყო მისი ცოლი, რომელიც იცხოვრებდა ყველაზე ახლო შეხებაში მასთან ამ საოცარ საქორწინო კავშირში.
  2. როდესაც სამუელი წერდა ისტორიის წიგნებს, მან მოათავსა მსაჯულთა წიგნი იესო ნავეს ძის წიგნის შემდეგ იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა, თუ როგორი სიცოცხლით ცხოვრობდა ისრაელი თავის ქმართან დაკავშირებით.
  3. როგორც გახსნილია მსაჯულთა წიგნში, ისრაელის გულში არ ყოფილა სურვილი, რომ ყოფილიყო იგჰოვას ცოლი; პირიქით, მან მიატოვა დმერთი, როგორც თავისი ქმარი, და მრუშივით დაიწყო სიარული სხვა დმერთების უკან და თაყვანს სცემდა მათ – 2:11-13, 17; 3:7; 8:33; 10:6; შდრ. იერ. 11:13; ეზეკ. 16:25-26; ოს. 1:2; 2:2.
- გ. იუდასა და ქალების შესახებ მონათხრობის შემდეგ მსაჯ. 1:1-20-ში ამ წიგნში მოთხოვთ ირაელის ისტორია სავსეა გარუცნილებითა და გახრწილებით, რომლებიც ახასიათებს მეძავს:
  1. იმ დროს, როდესაც იესო ნავეს ძის წიგნი არის ისრაელის ხალხის ისტორიის წიგნი, სავსე საოცარი გამარჯვებებით ქანაანის მაცხოვრებლებზე იგჰოვას თანდასწრებაში, მსაჯულთა წიგნი არის ისრაელის ისტორიის წიგნი, სავსე თავიანთი მტრებისაგან მიყენებული დამამცირებელი მარცხებით, როდესაც მათ მიატოვეს იგჰოვა.
  2. ასეთია სიღრმისეული მნიშვნელობა მსაჯულთა წიგნისა.
- დ. მსაჯულთა წიგნის შინაარსი ასეთია: ისრაელის შვილები დაიმედებულნი არიან დმერთზე, ტოვებენ დმერთს, განიცდიან მარცხს თავიანთი მტრებისაგან, თავიანთ საცოდავ მდგომარეობაში ინანიებენ დმერთის წინაშე,

თავს აღწევენ მსაჯულთა დახმარებით და ისევ ხდებიან გახრწნილნი; ეს გახდა ციკლი, რომელიც მეორდება მსაჯულთა წიგნში შვიდჯერ – 1:1-2; 2:11-3:11.

## II. მსაჯულთა 2:1-ში საუბარია იქჰოვას ანგელოზზე – 5:23; რიცხ. 22:22:

- ა. იქჰოვას ანგელოზი არის თვითონ ღმერთი და ის თავის ღვთაებრივ სამებაში ემსახურება თავის ამორჩეულებს როგორც მსახური – შდრ. ებრ. 1:14.
- ბ. სამერთიანი ღმერთის განსხეულება არის ქრისტე, და ქრისტე არის იქჰოვას ანგელოზი, რომელიც ზრუნავდა ისრაელზე როგორც იქჰოვა მოქმედებაში ძველ აღთქმაში – გამ. 3:2, შენ. 1.
- გ. ის, რომ ქრისტე არის იქჰოვას ანგელოზი, ნიშნავს, რომ ღმერთმა დანიშნა თავისი თავი და მიანდო თავის თავის თავის ღვთაებრივ სამებაში, ემოქმედა თავის ხალხზე საზრუნავის განხორციელებაში.
- დ. ვინაიდან ისრაელი არ მოქცეულა როგორც სათანადო ცოლი, თვით იქჰოვა, რომელიც იყო ქმარი, თავი და მეფე ისრაელისა, გახდა თავისი ცოლის მსახური:
  1. იქჰოვა მივიდა მასთან არა როგორც ქმარი, თავი ან მეფე, არამედ როგორც იქჰოვას ანგელოზი, გამოგზავნილი იქჰოვას მიერ – ზაქ. 2:9-11.
  2. ვინაიდან ისრაელმა არ დააფასა იქჰოვა როგორც თავი, ის გახდა მსახური, რომელიც მზად იყო ემსახურა მისთვის, მის მიერ ნათქვამი ისრაელისათვის მსაჯ. 2:1-3-ში იყო არა საყვედური ან ბრძანება, არამედ შეგონება მსახურის ბაგედან.

## III. მსაჯულთა წიგნის მე-17 და მე-18 თავებში ნაჩვენებია განდგომილება ისრაელისა დმერთის თაყვანისცემაში:

- ა. განდგომილება არის ჩამოშორება ღზიდან და მიღება სხვა გზისა, რათა გავყვეთ რაღაცას ღმერთის გარდა, და ის გულისხმობს იმას, რომ გააკეთოს რაღაც თავისი „მესათვის“, იქსო ქრისტეს სახელის და ღმერთის თაყვანისცემის ქვეშ დაფარვის მეშვეობით – საქმე. 9:2; 18:26; 2 პეტ. 2:2, 15, 21; იუდა 11; მსაჯ. 18:30-31.
- ბ. „ამ კაცს, მიქას, ჰქონდა ღმერთების სახლი; გაიკეთა ეფოდი და საოჯახო კერპები, აკურთხა თავისი ერთ-ერთი ძე და მდვდლად დაიყენა“ – 17:5:
  1. მიქას სახლი როგორც ღმერთების სახლი მის კერპებთან (ქრისტეს ჩანაცვლებებთან) ერთად, მის ეფოდთან (რომელიც წარმოადგენს ღმერთის ძალაუფლებას) და მის მიერ დაქირავებულ მდვდლებთან (რომლებიც წარმოადგენენ „სამდვდელოებისა და მრევლის სისტემას“ – მუხ. 7-13), აღწერს განდგომილების მდგომარეობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ღმერთის თაყვანისცემას, ქრისტიანებს შორის დღეს.
  2. მიქას დედამ მიუტანა რაღაც ღმერთს, მაგრამ მისი შესაწირავი იყო შეზავებული კერპთაყვანისცემის საფუართან (მუხ. 1-4); იგივე ნაზავი, იგივე მდგომარეობა განდგომილებისა, არსებობს ქრისტიანობაში.

3. მიქას მიერ აღწერილი „დმერთების სახლის“ სურათი (მუხ. 5) შეიძლება გამოვიყენოთ ქრისტიანობის მდგომარეობასთან.
  4. დღევანდელ ქრისტიანობაში არის მრავალი „სახლი მიქასი“; რომის კათოლიკური ეპლესია, სახელმწიფო ეპლესიები, დენომინაციები და მრავალი თავისუფალი ჯგუფი – არის „მიქას სახლები“, სავსე კერპებით, ანუ ქრისტეს ჩანაცვლებებით.
- გ. „დანის შვილებმა აღმართეს კერპის ქანდაკება“, და მათ „დაიდგეს თავისთვის კერპის ქანდაკება, რომელიც გააკეთა მიქამ, მთელი ის ხანი, სანამ შილოში იყო დმერთის სახლი“ – 18:30-31:
1. დანის განდგომილება იყო ის, რომ მან დაადგინა თაყვანისცემის გამყოფი ფაქტორი – 17:9-10; 18:27-31; 3 მეტ. 12:26-31.
  2. დანი იბრძოდა როგორც ახალგაზრდა ლომი, რათა მოეპოვებინა მეტი მიწა (აღმნიშვნელი ქრისტესი), მაგრამ, როდესაც მიაღწია წარმატებას და მოიპოვა გამარჯვება, ის გახდა ამაყი, ინდივიდუალისტური და დამოუკიდებელი – რჯლ. 33:22; იესო ნ. 19:47; მსაჯ. 18:27-31.
  3. იმან, რაც მოიპოვეს დანის შთამომავლებმა, გახადა ისინი ამაყები და დამოუკიდებლები, მათ არ უნდოდათ დამორჩილებოდნენ იმას, რაც დაადგინა უფალმა – მუხ. 1-31; რჯლ. 12:5, 8:
    - ა) ვინაიდან დანმა მიაღწია წარმატებას, ის გახდა ამაყი და ინდივიდუალისტური; ის ზრუნავდა მხოლოდ თავის თავზე, და არა სხვებზე – 33:22; 18:27-31.
    - ბ) დანის განდგომილების სათავე იყო ის, რომ ის არ ზრუნავდა სხვა ტომებზე; საზრუნავის არ ქონა სხეულის სხვა ასოებზე არის განდგომილების სათავე.
  4. ისრაელის მთელი ისტორიის განმავლობაში არაფერი არ ყოფილა უფრო ცოდვიანი და უფრო დამდუპველი დმერთის ხალხისათვის, ვიდრე დანის განდგომილება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მან დაადგინა თაყვანისცემის დამყოფი ცენტრი – 49:16-18; რჯლ. 33:22; მსაჯ. 18:1, 30-31.
  5. თითოეული დამყოფი ცენტრი დგინდება ამა თუ იმ ადამიანის საკუთარი ინტერესებისათვის; ასეთ პრაქტიკას მივყავართ არა მარტო დაყოფასთან, არამედ ქიშპობასთანაც – მუხ. 1, 13-31; დაბ. 49:16-18; რჯლ. 33:22:
    - ა) სავანე იმყოფებოდა შილოში, ხოლო სხვადასხვა გამოსახულებები – დანში – იესო ნ. 18:1.
    - ბ) „მათ დაადგინეს თავისთვის კერპების ქანდაკებები... მთელი დროის განმავლობაში, როდესაც დმერთის სახლი იყო შილოში“ – მსაჯ. 18:31; 1 მეტ. 1:3.
  6. ქრისტიანობის ისტორიაში იყო მრავალი „დანი“, რომლებსაც არ სურდათ დამორჩილებოდნენ სხვებს, ისინი ადგენდნენ თაყვანისცემის სხვა ცენტრს – მსაჯ. 18:1, 13-31.

7. საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ თავი დავიცვათ იმ საფრთხისაგან, რომ ჩავვარდეთ განდგომილებაში, არის ვიზრუნოთ მთელ სხეულზე და უფლის უნიკალურ მოწმობაზე უფლის ერთ სამუშაოში – 1 კორ. 10:17; 12:12, 27.
- დ. ბიბლიაში არის მყარი წინასწარმეტყვლება იმასთან დაკავშირებით, რომ უფლის დაბრუნების წინ მის ხალხს შორის მოხდება დიდი განდგომილება – 2 ოქ. 2:3:
1. უფლის მოსვლის დღე არ დადგება, თუ მანამდე არ დადგება განდგომილება – მუხ. 2-3.
  2. ეს განდგომილება იქნება ჩამოშორება დმერთის სახლმშენებლობის პირდაპირი გზიდან, რაც ნაჩვენებია წერილებში – 1 ტიმ. 1:4; ეფეს. 1:10; 3:9.
  3. დღესაც კი ზოგიერთ ქრისტიანს შორის ჩანს ჩამოშორების ტენდენცია ახალი აღოქმის პირდაპირი გზიდან – 2 პეტ. 2:15.
- გ. განდგომილება – დმერთის ჭეშმარიტების სწორი მიმართულებიდან გადახრა – გამოდგა ფონი და საზრუნავი პეტრეს მეორე წერილისა – 2:1:
1. განდგომილებამ გადაიტანა მორწმუნების ყურადღება დმერთის სახლმშენებლობიდან, წაიყვანა ისინი თავგზის ამბნევი ფილოსოფიური სწავლებების ადამიანურ ლოგიკაში – კოლ. 2:8.
  2. განდგომილების სწავლებას მიჰყავდა მორწმუნები არა იმასთან, რომ ისინი ზიარებოდნენ სიცოცხლის ხეს, რომელიც აცოცხლებს, არამედ იმას, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ შეცნობის ხეში, რომელსაც მოაქვს სიკვდილი – დაბ. 2:9, 16-17; 2 კორ. 11:2-3, 12-15.
  3. ანტიბიოტიკი, რომელსაც პეტრე იყენებდა განდგომილებასთან ბრძოლაში, არის სიცოცხლის შეწევნა და ჭეშმარიტების გამოცხადება – 2 პეტ. 1:3-21:
    - ა) მე-3-დან მე-11 მუხლის ჩათვლით პეტრემ გამოიყენა შეწევნა დვთაებრივი სიცოცხლის სათანადო ქრისტიანული ცხოვრებისათვის, რათა აეცრა მორწმუნები განდგომილების წინააღმდეგ.
    - ბ) მე-12 მუხლიდან 21-ე მუხლის ჩათვლით მან გამოიყენა გამოცხადება დვთაებრივი ჭეშმარიტების, რათა აეცრა განდგომილების ერესის წინააღმდეგ – 2:1, შენიშვნა 3.
  4. ვინაიდან დღევანდელი ქრისტიანობა სავსეა განდგომილებით, უფალს სჭირდება აღდგენა – სიცოცხლისა და ჭეშმარიტების აღდგენა – იოანე 1:4; 8:12; 10:10ბ; 14:6; გამოცხ. 2:4, 15.
- გ. დღეს, განდგომილების დროს, ჩვენ უნდა დავამოწმოთ სრული გამოცხადება დმერთის წმინდა სიტყვისა და ვიბრძოლოთ უფრო ღრმა ჭეშმარიტებისათვის, რომელიც გახსნილია დმერთის სიტყვაში, და მოიცავს:
1. გამოცხადებას დმერთის მარადიული სახლმშენებლობის შესახებ – ეფეს. 1:10; 3:9.

2. გამოცხადებას დვთაებრივი სამების შესახებ – 2 კორ. 13:14; გამოცხ. 1:4-5.
3. გამოცხადებას ყოვლისმომცველი ქრისტეს პიროვნებისა და სამუშაოს შესახებ – კოლ. 2:9, 16-17; 3:11.
4. გამოცხადებას დასრულებული მაცოცხლებელი სულის შესახებ – იოანე 7:39; 1 კორ. 15:45ბ; გამოცხ. 22:17.
5. გამოცხადებას ღმერთის მარადიული სიცოცხლის შესახებ – იოანე 3:15-16.
6. გამოცხადება ქრისტეს სხეულის, ანუ ღმერთის ეკლესის, შესახებ – ეფეს. 1:22-23; 1 კორ. 12:12-13, 27; 10:32.